„ღვდელი და მალარია“ კუბოში

გავა წლისთავი... ნოემბერი,
ბნელ ოლარებით,
ჩემში ატირებს მამაჩემის
შავ ანაფორას.
უკანასკნელი ლექსი ჩავდე
მე მონანებით,
როდესაც გულზე უცხო ღვდლები
ადგამდენ გორას.
მის საფლავშიაც ატირებდა
ძველი არია,
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდელი
და მალარია.
გავა წლისთავი... მე არ ვიცი
მეორე ლექსი,
ულექსოდ ვტირი მოგონებას
მე ყოველ ღამე.
ციმია გული, ისე ციმი
ვით ქვა სალესი,
შენი წამების მე დამტოვე
ერთი მოწამე.
შენ სადიდებლად ავატირე
ძველი არია,
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდელი
და მალარია.
იწვის ქალდეა... გვეფარება
ცხელ ანაფორად,
ყველა ცეცხლების ატრიალდა
ჩემში გრიგალი.
როგორც ყოველთვის, თვით სიკვდილსაც
შევებით ორი
და ჩემთან იბრძვის შენი ლანდი,
სხვისთვის მიმქრალი.
დაატრიალებს ამ ქვეყანას.
ჩემი არია,
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდვლი
და მალარია.
ყველაზე სუსტი მე დამტოვე
მაინც ბავშვებში,
უდაბნო არის საქართველო

მონომანისთვის.
სამგლოვიარო მე არ ვიყავ
მარტო შავებში,
ვიცი, აქამდე ვიტანჯები
მარტო ამისთვის.
მაგრამ ჩემია მგლოვიარე
ძველი არია,
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდელი
და მალარია.
ძვირფასო მამა, იყავ იქაც
ყოველთვის მშვიდი,
გახსოვდეს, ქვეყნად რომ დატოვე
შვილი პოეტი.
და მეასეჯერ გადიხადე
იქ პანაშვიდი,
რომ დამიწყნარდეს
მე ცხოვრება მიეთმოეთი.
მე მხოლოდ შენთვის ავატირგ
ძველი არია,
ძვირფასი მამა – გიჟი ღვდელი
და მალარია.

ნოემბერი,
1920 წ.